პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 248 (3732)

1968 წ. 21 დეკემბერი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

გუშინწინ თბილისში დამთავრდა სპორტული ფილმების II საკავშირო კინოფესტივალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის ნაკრები–69

საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა 19 დეკემბერს საკდესის კორესპონდენტს დაუსახელა 7 ახალწვეული; ესენი არიან ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს „ა" კლასის გუნდების შეჯიბრებაში: 23 წლის რ. ძოძუაშვილი (თბილისის „დინამო"), 22 წლის ვ. ლისენკო („ჩერნომორეცი"), 21 წლის ვ. სმირნოვი და 24 წლის ვ. ზიკოვი (ორივე — მოსკოვის „დინამო"), 21 წლის ვ. სახაროვი (მინსკის „დინამო"), 22 წლის ნ. კისელიოვი („სპარტაკი") და 20 წლის ა. ჩუმაკოვი (მოსკოვის „ტორპედო").

დანარჩენი 20 ფეხბურთელი, რომლებმაც უნდა დაიცვან სსრ კავშირის ღირსება, საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები არიან: მეკარეები — ე. რუდაკოვი, ი. პშენიჩნიკოვი და ი. დეგტიარიოვი, მცველები — ვ. აფონინი, ვ. პონომარიოვი, ი. ისტომინი, ა. შესტერნიოვი, ვ. კაპლიჩნი, მ. ხურცილავა და გ. იანეცი, ნახევარმცველები — ვ. მუნტიანი, ვ. ამბარცუმიანი და ვ. ანიჩკინი, თავდამსხმელები — ს. მეტრეველი, ბ. აბდურაიმოვი, ვ. ხმელნიცკი, ა. ბიშოვეცი, მ. გერშკოვიჩი, ვ. კოზლოვი და ა. პუზაჩი.

კაჩალინმა განაცხადა, რომ გაისად საბჭოთა კავშირის ნაკრები 20 მატჩს ჩაატარებს. აქედან ორს — საბჭოთა გუნდებთან, თოთხმეტს — უცხოეთის საკლუბო გუნდებთან და ეროვნულ ნაკრებ კოლექტივებთან, ოთხს კი მსოფლიო პირველობის შესარჩევ ჯგუფში. მაგალითად, 27 ივნისს ჩვენები შეხვდებიან გდრ-ის გუნდს, 6 აგვისტოს — შვეციის ნაკრებს, 24 სექტემბერს — იუგოსლავიის ფეხბურთელებს.

1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები გაიმართება: ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან — 10 სექტემბერს ბელფასტში და 22 ოქტომბერს მოსკოვში, თურქეთის ნაკრებთან — 15 ოქტომბერს მოსკოვში და 16 ნოემბერს სტამბოლში.



სურათზე: კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ბ. ჩირკოვი ვერცხლის მედალსა და დიპლომს გადასცემს ფილმის „დარტყმა, კიდევ დარტყმა!" დამდგმელ რეჟისორს ვ. სადოვსკის.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

## საზოგადოებრიობის გავლენით!

ბონი, 19 დეკემბერი. გფრ-ის მთავრობა დასავლეთ გერმანიისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის გავლენით იძულებულია აღიაროს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში გამოვლენ თავიანთი დროშით. თუ ამ ქვეყნის წარმომადგენლები გაიმარჯვებენ, მათი მისალმების დროს გდრ-ის სახელმწიფო ჰიმნი შესრულდება. ამგვარად, გდრ-ის გუნდი მიუნხენის საზაფხულო ოლიმპიადაში ისევე თანაბარუფლებიანი იქნება, როგორც შეჯიბრების მონაწილე ყველა სხვა ქვეყნის გუნდები.

მაგრამ დღემდე გადაუჭრელი რჩება საკითხი: გამოვლენ თუ არა გდრ-ის სპორტსმენები თავიანთი დროშით გფრ-ის ტერიტორიაზე ჩატარებულ სხვა შეჯიბრებებში?

◆ ბელუ-ორიზონტი, 20 დეკემბერი. მინას ჟერაისის შტატის (ბრაზილია) საუკეთესო საფეხბურთო გუნდი „ატლეტიკო მინეირო" აქ იუგოსლავიის ნაკრებს შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვებას მიაღწია — 3:2. გადამწყვეტი ბურთი საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე გაიტანა ბრაზილიელთა ფორვარდმა რონალდომ.

◆ კურიტიბა, 20 დეკემბერი. ბრაზილიის შტატის პარანას დედაქალაქში გაიმართა ამხანაგური მატჩი — ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კურიტიბა" და ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრები. შესვენებამდე გატანილმა ერთადერთმა ბურთმა (კრიგერი) გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა.

## გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელთა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის ვაჟთა გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ბურევესტნიკმა" დამატებით დროში მოუგო კაუნასის „ჟალგირისს" — 73:71 (26:40, 62:62).

დღეს ნომერში:

რ. ძოძუაშვილი, მ. ხურცილავა და ს. მეტრეველი... 1-ლი გვ.

მედლები კინოფესტივალში გამარჯვებულთ მე-2 გვ.

ფეხბურთის მწვრთნელთა ეროვნული კადრების შესახებ.. მე-3 გვ.

კონტინენტის ჩოგბურთელთა ჩემპიონატი მე-4. გვ.



▲ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მორიგი გამარჯვება მოიპოვეს გფრ-ის „ბერნის" კალათბურთელმა ვაჟებმა, რომლებმაც მოუგეს ლუქსემბურგის „ნიტიას" — 84:64.

▲ ლისაბონიდან იტყობინებიან, რომ პორტუგალიის სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უარი თქვეს მომავალი უნივერსიადის მასპინძლობაზე. უარი გამოწვეულია მათს ქვეყანაში სალაზარის რეაქციული რეჟიმის გაძლიერებით, რაც სტუდენტთა თამაშების მოწყობის საშუალებას არ იძლევა.

▲ ფილადელფიაში მძიმე წონის პროფესიონალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონმა ჯ. ფრეზერმა 15-რაუნდიან ბრძოლაში ქულებით სძლია ამ ტიტულის მაძიებელს, არგენტინელ ო. ბონავენს.

▲ მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა, მძიმე წონის პროფესიონალმა ათლეტმა ს. ლისტონმა მეორე რაუნდში ნოკაუტით მოუგო ლ. ლინკენს. ეს ლისტონის მეათე გამარჯვებაა კ. კლეისთან წაგების შემდეგ.

▲ ბრიმსბში გამართული მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება „ბოლონიის" თასზე მოიგეს ინგლისელებმა, რომლებმაც 38 ქულა მოაგროვეს და 17 ქულით აჯობეს მეორე პრიზიორს — შოტლანდიის გუნდს.

▲ ჰოლანდიის ქალაქ აბერსფორტში დამთავრდა მსოფლიოს V ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. როგორც ქალებში, ისე ვაჟებში ყველას აჯობეს ამერიკელებმა — გაიმარჯვეს უილსმა და ჯეკობსმა.

▲ პლევენში (ბულგარეთი) გაიმართა ბულგარეთისა და სომხეთის მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირი. ქალებში გაიმარჯვა ჩერნიკოვამ (სომხეთი), რომელმაც შვიდი ბრძოლა მოიგო. რაპირისტ კაცებში უძლიერესი იყო სტუმარი ტერ-მარქარიანი. ესპადრონისტთა ტურნირი მოიგო ათანასოვმა (ბულგარეთი), დაშნით ბრძოლაში ბადალი არ ჰყავდა ხაჩატურიანს (სომხეთი).

## ახალი ამბები

● ოდესა, 18 დეკემბერი. დღეს აქ გაიხსნა სსრ კავშირის X გუნდური ჩემპიონატი შაშში. ყოველი გუნდის შემადგენლობაშია 6 ვაჟი და 1 ქალი: სამი სპორტსმენი ასუჯრიან შაშს თამაშობს, 4 — რუსულს. მონაწილეთა შორის არა მარტო ქვეყნის უძლიერესი მოშაშენი არიან, არამედ მსოფლიოსი. მაგალითად, არმიელთა გუნდს სათავეში უდგანან მსოფლიოს ჩემპიონი ა. ანდრეიკო და სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. აბაციევი, სპარტაკელებს თავკაცობენ მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ი. კუპერმანი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ი. სპასკაია. რკინიგზელთა კოლექტივშია ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვ. შჩოგოლევი. ყოველივე ეს გვპირდება უაღრესად საინტერესო ბრძოლას, რომლის საბოლოო შედეგები 28 დეკემბერს იქნება ცნობილი.

● სტოკჰოლმი, 19 დეკემბერი. შვეციის დედაქალაქი ფიგურულ ციგურაობაში 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ადგილადაა არჩეული. შეჯიბრებები გაიმართება ცნობილი დარბაზის „იუჰანესჰოფის" ყინულზე. ეს დარბაზი 10 ათას მაყურებელს იტევს.

● რომი, 19 დეკემბერი. ძრავიანი ნავების „4000 კბ სმ" კლასში 2 მსოფლიო რეკორდი დაამყარა იტალიელმა ფილიბერტო მოლტენიმ. კომოს ტბაზე 24 საზღვაო მილი (40,6 კმ) მან 110,707 კმ საშუალო სისწრაფით დაფარა საათში. მეორე რეკორდს მოლტენიმ ერთსაათიან რბოლაში მიაღწია — 109,001 კმ. ძველი მიღწევები მოლტენის თანამემამულე ე. მოლინარის ეკუთვნოდა, სწორედ მან ააგო ნავი, რომელზეც მოლტენიმ დაამყარა ახალი რეკორდები.

## 6-6 ქულით

მოსკოვი, 19 დეკემბერი. აქ გრძელდება ხელბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი.

შეჯიბრების მეორე დღეს უნგრეთის ნაკრებმა დაამარცხა რუმინეთის წარმომადგენლები — 10:7, სსრ კავშირის ხელბურთელებმა — პოლონელები — 16:6, ხოლო გდრ-ის კოლექტივმა — ბულგარელები — 19:6.

დღეს გაიმართა III ტურის შეხვედრები. რუმინელებმა მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს ბულგარელები — 11:10. გდრ-ის წარმომადგენლებმა მოუგეს პოლონელებს — 14:8, ხოლო სსრ კავშირის ნაკრებმა უნგრელებს — 14:7.

3 ტურის შემდეგ ტურნირის ლიდერები არიან გდრ-ისა და სსრ კავშირის ხელბურთელები, რომლებსაც 6-6 ქულა აქვთ.

## ახალი წიგნები



## „ლელოს" ბიბლიოთეკის რუბრიკით

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" „ლელოს ბიბლიოთეკის" რუბრიკით გამოსცა მორიგი წიგნი — „კალათი და ბურთი".

წიგნი (ავტორი გ. აკოფოვი) ეხება კალათბურთის ჩასახვასა და განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

ავტორი სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით მოგვითხრობს საქართველოს უძლიერეს ქალთა და ვაჟთა გუნდებზე, მათს გამოსვლებზე რესპუბლიკურ და საკავშირო ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებში.

წიგნი, რომელიც 12 თაბახისგან შედგება და 18 კაპიკი ღირს, ამ დღეებში გამოვა ბაზარში.

# ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო...

## ალამი დაუშვეს

გუშინწინ მონაწილენი, სტუმრები და მაყურებლები კვლავ შეიკრიბნენ კინოთეატრ „რუსთაველში“ სპორტული ფილმების II საკავშირო ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე.

ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ შესავალი სიტყვის შემდეგ ფესტივალის შესაჯამებლად სიტყვა მისცა ჟიურის თავმჯდომარეს ბ. ჩირკოვს.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ი. ეგოროვი. მან საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის სახელით მადლობა გამოუცხადა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტსა და დამსწრე საზოგადოებას იმ დიდი ყურადღებისთვის, რომლითაც ფესტივალის მონაწილენი და სტუმრები იყვნენ გარემოსილნი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოთქვა ი. მალიშევმა.

შემდეგ მოხდა კინოფესტივალში გამარჯვებულთა დაჯილდოება.

სპორტული ფილმების II საკავშირო კინოფესტივალის ჟიურიმ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ბ. ჩირკოვის თავმჯდომარეობით შეაჯამა კინოფორუმის შედეგები და ხმების უმრავლესობით დაადგინა შემდეგი:

მხატვრული ფილმებიდან ოქროს მედალი და დიპლომი არ მიენიჭა არც ერთ სურათს.

ვერცხლის მედლით და დიპლომით დაჯილდოვდა მხატვრული ფილმი „დარტყმა, კიდევ დარტყმა!“ (ლენინგრადის კინოსტუდია).

ბრინჯაოს მედლით და დიპლომით დაჯილდოვდა მხატვრული სურათი „ახალბედა“ (მ. გორკის სახელობის სტუდია).

დოკუმენტური ფილმებიდან ოქროს მედალი და დიპლომი მოიხვეჭა სრულმეტრაჟიანმა ფილმმა „სტარტების ფურცლები“ (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია).

ვერცხლის მედლები და დიპლომები მიეკუთვნა დოკუმენტურ ფილმებს: „მოძრაობათა საოცარი სამყარო“ (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია) და „ცხენები და ბიჭები“ (ლიტვის კინოსტუდია).

ბრინჯაოს მედალი და დიპლომი დაიმსახურა დოკუმენტურმა ფილმმა „კლდის ვეფხვი“ (საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია).

სამეცნიერო-პოპულარული ფილმებიდან ოქროს მედლები და დიპლომები მიენიჭა კიევის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის ნამუშევრებს: „ნა-ტა-ლი“ და „მოფარიკავენი“.

ვერცხლის მედალი და დიპლომი მიიღო სამეცნიერო-პოპულარულმა ფილმმა — „ბავშვთა სპორტული სკოლა“ (სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ცენტრალური სტუდია).

ბრინჯაოს მედალი და დიპლომი მიეკუთვნა სამეცნიერო-პოპულარულ ფილმს — „მოჭადრაკენი“ (სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ცენტრალური სტუდია).

სასწავლო ფილმებიდან ოქროს მედალი და დიპლომი დაიმსახურა სასწავლო ფილმმა — „მწვრთნელის თვალით“ (კიევის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდია).

ვერცხლის მედალი და დიპლომი მიენიჭა სასწავლო ფილმს „სამბო“ (სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ცენტრალური სტუდია).

მულტიპლიკაციური ფილმებიდან ოქროს და ვერცხლის მედლები არც ერთს არ მიუღია.

ბრინჯაოს მედალი და დიპლომი დაიმსახურა მულტიპლიკაციურმა ფილმმა „მატჩ-რევანში“ („სოიუზმულტფილმი“).

ფერადი ფართოფორმატიანი ფილმის — „ცაში მხოლოდ ქალიშვილები არიან“ („მოსფილმის“ სტუდია) უნიკალური გადაღებებისთვის ოქროს მედალი და დიპლომი გადაეცა ოპერატორ რ. სილინს.

დიპლომებით აღინიშნა შემდეგი სპორტული კინოჟურნალები:

„სპორტული ყაზახეთი“ № 3/66 („ყაზახფილმი“),

„საბჭოთა ურალი“ № 22/68 (სვერდლოვსკის კინოსტუდია),

„ჩვენი მხარე“ № 21—22/68 (ლენინგრადის კინოქრონიკის სტუდია),

„სპორტული მიმოხილვა“ № 3/68 (რიგის კინოსტუდია),

„სოვეტსკი სპორტი“ № 9/68 (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია).

დიპლომით დაჯილდოვდა ჩრდილოეთ კავკასიის კინოქრონიკის სტუდია სპორტულ თემატიკაზე ფილმების შექმნაში აქტიური მოღვაწეობისთვის.

სპორტულ თემებზე მოკლე კინონოველების შექმნის [illegible]ლობის აღსანიშნავად ჟიურიმ აუცილებლად ცნო [illegible] აღენიშნა შემდეგი ნამუშევრები:

სიუჟეტი „გურამ სალარაძე“ დოკუმენტურ ფილმში „სპორტსმენები“ (საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია),

სიუჟეტი „მოსწავლე გროზნოდან“ (ტანმოვარჯიშე ლ. ტურიშჩევას შესახებ) კინოჟურნალში „სოვეტსკი სპორტი“ № 5/68 (დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდია),

სპორტულ თემაზე საუკეთესო სტუდენტური ნამუშევრისთვის — ფილმი „ეს რეგბია!“ (საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია).

სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ჟურნალ-გაზეთების რედაქციების პრიზებითა და დიპლომებით დაჯილდოვდნენ შემოქმედებითი კოლექტივები, ფილმები და ცალკეული კინომოღვაწეები. ეს ჯილდოები დაიმსახურეს:

ლენინგრადის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის შემოქმედებითმა კოლექტივმა ფილმ „უმეთაურო ხომალდების“ შექმნისთვის — დოსააფის პრიზი სპორტის ტექნიკური სახეობების პროპაგანდისთვის;

მხატვრულ ფილმში „დარტყმა, კიდევ დარტყმა!“ სპორტსმენის საუკეთესო კინემატოგრაფიული პორტრეტის შექმნისთვის მსახიობმა ვ. კორშუნოვმა — ჟურნალ „სოვეტსკი ეკრანის“ რედაქციის პრიზი;

მხატვრულ ფილმში „ახალბედა“ მთავარი როლის შესრულებისთვის ლენინგრადის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ი. ელისეევამ — გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზი.

სპორტული თემის ორიგინალური გადაწყვეტისთვის ფილმში „მოფარიკავენი“ ახალგაზრდა რეჟისორ თ. ზოლოევს გადაეცა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ რედაქციის პრიზი.

დოკუმენტურ ფილმზე „ცხენები და ბიჭები“ კარგი რეჟისორული მუშაობისთვის ავტორ-ოპერატორ ვ. სტაროშასს გადაეცა ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის“ რედაქციის პრიზი.

მხატვრული ფილმის „დარტყმა, კიდევ დარტყმა!“ შექმნაში მონაწილეობისთვის მწერალ ლ. კასილს გადაეცა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პრიზი.

სპორტული თემების პოეტური გადაწყვეტისთვის სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის პრიზი გადაეცა „ნა-ტა-ლის“ შემოქმედებით კოლექტივს.

საუკეთესო კინორეპორტაჟისთვის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზი გადაეცა რიგის კინოსტუდიის ნაწარმოებს — „მოტობურთს“.

ადამიანის ფიზიკური სრულყოფისა და სპორტის პროპაგანდისთვის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზი დაიმსახურა ფილმმა „მოძრაობათა საოცარი სამყარო“.

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ პრიზი გადაეცა „ყაზახფილმის“ სტუდიას კინოჟურნალისთვის — „სპორტული ყაზახეთი“ № 3/68.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პრიზი გადაეცათ ჟურნალისტებს პ. მიხალიოვსა და გ. დოლგოპიატოვს—საუკეთესო სადიქტორო ტექსტისთვის დოკუმენტური ფილმების ცენტრალური სტუდიის ფილმში „ფიქრები სტარტის წინ“.



# მშობლიურ უნივერსიტეტში

თბილისის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის პრობლემური სამეცნიერო ლაბორატორიის თანამშრომლები შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონს, უნივერსიტეტის სტუდენტს ნ. ალექსანდრიასა და მის მწვრთნელს ბ. გურგენიძეს. ცნობილმა მოჭადრაკეებმა გულშემატკივრებს უამბეს აშხაბადში გამართულ პირველობაზე. გურგენიძემ შეკრებილთ ჯერ აჩვენა თავისი პარტია ბ. კატალიმოვთან, შემდეგ ალექსანდრია— ნ. კონოპლიოვას პარტია.

სტუმრებმა დაათვალიერეს ლაბორატორია.

დასასრულს ალექსანდრიამ ჩაატარა ერთდროული თამაშის სეანსი 15 დაფაზე. მან 11 პარტია მოიგო, 3 ყაიმით დაამთავრა და წააგო უფროს მეცნიერ-თანამშრომელთან ჯ. ანთიძესთან.

ა. კოტორაშვილი.

* * *

სურათზე: (მარცხნიდან) მეცნიერ-თანამშრომელი გ. შარაშენიძე და მთავარი ინჟინერი ა. გეთია გამომთვლელი მანქანის შესახებ ესაუბრებიან ნ. ალექსანდრიასა და ბ. გურგენიძეს.

ფოტო ავტორისა.

# ჭიდილები... სტარტამდე

ალმა-ათა, 19 დეკემბერი. თავისებურად, დაჯილდოებით დაიწყო დღეს აქ სსრ კავშირის ძალოსანთა გუნდური ჩემპიონატი. მსოფლიო და საკავშირო რეკორდების დამყარებისთვის ოქროს მედლები გადაეცათ ა. ვახონინს, ვ. გოლოვანოვს, ა. კალინიჩენკოს, ს. შარიპოვს და სხვ.

შემდეგ კი ფიცარნაგზე გამოვიდა სპორტსაზოგადოებათა და უწყებების 22 გუნდის ამდენივე მჩატე წონის ათლეტი. პირველ მოძრაობაში — აჯიმვაში უძლიერესი აღმოჩნდა მონაწილეთა შორის ყველაზე ახალგაზრდა, 23 წლის რ. ბელენკოვი (შეიარაღებული ძალები), რომელმაც 110 კგ დაძლია, რაც მისსავე პირად წონაზე ორჯერ მეტია. ატაცში ტოლი არ ჰყავდა 33 წლის რკინიგზელს, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენს ალმაათელ ვ. კიმს. მაგრამ მის მიერ დაძლეული წონა (105 კგ) შორსაა რეკორდისგან.

სამჭიდში დამაჯერებლად გაიმარჯვა ახალგაზრდა პენზელმა ინჟინერმა გ. იაკუნინმა („დინამო“) — 335 კგ (105+102,5+127,5). II ადგილზე გავიდა მისი თანაგუნდელი ლ. მანუკიანი (330 კგ). ასეთივე შედეგით III ადგილზეა კიმი (იგი მეტოქეზე რამდენადმე მძიმე აღმოჩნდა).

✦ რუსთავი

ჩატარდა ქიმიური კომბინატის პირველობა ფეხბურთში. მონაწილეობდნენ აზოტოვანი სასუქებისა და კაპროლაქტამის ქარხნების, შხამქიმიკატების წარმოებისა და დამხმარე საამქროების გუნდები. შეჯიბრება ძლიერად ჩაატარეს აზოტოვანი სასუქების ქარხნის წარმომადგენლებმა და I ადგილიც გაინაღდეს.

რ. გაბრიჩიძე.

# ოთხივე „მოსკვიჩი“

სიდნეი, 18 დეკემბერი. ჩვენმა ოთხივე „მოსკვიჩმა“ წარმატებით გაიარა თითქმის 17 ათასი კილომეტრი ლონდონ — სიდნეის რალის მარშრუტით. ამ შეჯიბრებაში მხოლოდ „მოსკვიჩების“ გუნდს არ დაუკარგავს არც ერთი მანქანა. გუნდურ ჩათვლაში (სამი საუკეთესო მანქანის შედეგების მიხედვით) „მოსკვიჩებმა“ პრიზი მიიღეს, I-IV ადგილები გაიყვეს „ფორდებთან“ და ინგლისურ „ბმკ“-ს ორ ნაკრებთან.

როგორც წინასწარი მონაცემების მიხედვით ვიუწყებოდით, გაიმარჯვა (ახლა უკვე ოფიციალურად) ე. კოუენის ინგლისურმა ეკიპაჟმა, რომელიც სამამულო მანქანით „ჰილმენ-ჰანტერით“ გამოდიოდა.

მოსკოველ ს. ტენიშევის ეკიპაჟმა მე-20 ადგილი დაიკავა, ესტონელ უ. აავას ეკიპაჟმა — 22-ე, ტ. იპატენკოს ჯგუფმა — 33-ე, ვ. შაველევის ეკიპაჟმა — 38-ე (ორივე — მოსკოვი).

98 მანქანიდან ფინიშთან მხოლოდ 56 მივიდა. 26 ევროპისა და აზიის გზებზე გამოაკლდა რბოლას, დანარჩენი 16 — ავსტრალიურ ტრასაზე.

როგორც კი „მოსკვიჩებმა“ ფინიში გადაკვეთეს, მათ მყისვე ალყა შემოარტყეს ცნობისმოყვარეებმა. ზოგი კაპოტის ახდას მოითხოვდა, ძრავა სურდა ენახა. როცა გაიგეს, რომ „მოსკვიჩი-412“ მცირელიტრაჟიანი მანქანაა, კიდევ უფრო მხურვალედ ულოცავდნენ საბჭოთა მრბოლელებს. მართლაც, საბჭოთა სპორტსმენებს ძალიან გაუჭირდათ: ისინი ხომ მძლავრ „სიტროენებს“, „მერსედესებსა“ და „ფორდებს“ ეჯიბრებოდნენ.

„ამ შეჯიბრებაში, — თქვა ს. ტენიშევმა, — კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ „მოსკვიჩი“ ჩინებული მანქანაა. რასაკვირველია, „მოსკვიჩებს“ გაუჭირდათ სისწრაფით უფრო მაღალი კლასის მანქანებთან შეჯიბრება, მაგრამ უდიდესი მანძილი სხვებზე მშვიდობიანად გაიარეს, რაიმე სერიოზული დაზიანება არ მიუღიათ“.

ავსტრალიელმა სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა მანქანების ხარისხს. ფინიშიდან ნახევარი საათის შემდეგ რადიოთი გადმოსცეს ავსტრალიელი ბიზნესმენის უოლსტონის გამოსვლა. მან ძალიან მოიწონა ჩვენი მანქანები. სხვათა შორის, ს. ტენიშევის მანქანას მთელ გზაზე მხოლოდ ოთხი საბურავის გამოცვლა დასჭირდა.

ს. ტენიშევმა აღნიშნა კომპანია „ჯეკ ჰოსტად ჰოლდინგს ლიმიტედის“ კარგი მომსახურება ავსტრალიურ ტრასაზე.

გადაწყდა, რომ ლონდონ — სიდნეის რალი ტრადიციად იქცეს: ჩატარდეს ოთხ წელიწადში ერთხელ. შემდეგი რბოლა 1972 წელს მოეწყობა.

საკდესის კორესპონდენტმა ვ. დვორცოვმა „ავტოექსპორტის“ თავმჯდომარეს ვ. პეტროვს სთხოვა გამოეთქვა აზრი ლონდონ — სიდნეის რალის შედეგებზე. „საბჭოთა მანქანები 67 ქვეყანაში იყიდება, — თქვა ვ. პეტროვმა. — მარათონულ რბოლაში წარმატება მათთვის საუცხოო ატესტაციაა. როცა გუნდს ლონდონში ვგზავნიდით, ამ შეჯიბრების დიდ სპორტულ-გამოყენებით მნიშვნელობას ვითვალისწინებდით და კმაყოფილიც ვართ „მოსკვიჩების“ გამოსვლისა. მანქანები საიმედო აღმოჩნდა. საბჭოთა მრბოლელებმა დიდი ოსტატობა გამოავლინეს რთულ პირობებში. სხვათა შორის, ისინი სულ მალე დაბრუნდებიან მოსკოვში, მარათონის მონაწილე „მოსკვიჩებს“ კი მოსკოვში გამოფენაზე გამოვიტანთ.

დასასრულ: ეს რალი არც პირველი იყო საბჭოთა ავტომანქანებისთვის და, რასაკვირველია, არც ბოლო იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იუბილესადმი მიძღვნილი

თბილისში მიმდინარეობს უნივერსიტეტის 50 წლისთავის სახელობის თასის გათამაშება რეგბიში. ასპარეზობაში მონაწილეობენ თბილისისა და ქუთაისის გუნდები.

სტუდენტთა ქალაქის სტადიონზე გაიმართა პირველი ტურის შეხვედრები. ითამაშეს უნივერსიტეტის II ნაკრებმა და ქუთაისის „დინამომ“. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და ფრედ დამთავრდა — 6:6. შემდეგ მინდორზე გამოვიდნენ უნივერსიტეტის I ნაკრები და „განთიადის“ საკლუბო გუნდი „ისანი“.

თავიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს სტუდენტებმა. მე-5 წუთზე ტერტერაძემ ბურთი დადო მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედანზე. შემდეგ გელოვანმა ორჯერ აიძულა ისნელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. საბოლოოდ სტუდენტებმა გაიმარჯვეს — 24:0.

დათოვლილი მინდვრის მიუხედავად, თამაში საინტერესო გამოდგა.

დასკვნითი შეხვედრები გაიმართება დღეს და ხვალ.

ს. შანტურია.

* * *

სურათზე: უნივერსიტეტის I ნაკრებისა და „ისნის“ შეხვედრის მომენტი.

ფოტო ავტორისა.

# სენსაციები ფინიშზე

რიგა, 19 დეკემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მოჭადრაკეთა გუნდურმა ჩემპიონატმა ეკვატორი გადაჭრა — დისტანციის ნახევარი გაიარა. VII ტურის შემდეგ, წინ არიან „ბურევესტნიკი“ და შეიარაღებული ძალების ნაკრები. „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლებმა პირდაპირ გაანადგურეს დინამოელები (6:1) და 45,5 ქულა დააგროვეს. არმიელმა მოჭადრაკეებმა ფარ-ხმალი დააყრევინეს „ლოკომოტივს“ — 4:2. არმიელთა კაპიტანმა, დიდოსტატმა გელერმა საუცხოოდ მოუგო შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ ზაიცევს, ხოლო დიდოსტატმა ვასიუკოვმა — ბორისენკოს. შეიარაღებული ძალების გუნდს 43,5 ქულა აქვს.

დიდი მღელვარება მოუტანა მაყურებლებს დიდოსტატ გუფელდის (შეიარაღებული ძალები) შეხვედრამ ოსტატ მურეისთან. დებიუტში გუფელდმა (შავებით) მეტოქეს ორ პაიკში ფიგურა შესწირა და ცენტრში პაიკების მძლავრი ჯგუფი შექმნა. შემდგომ რკინიგზელმა ფიგურა დააბრუნა და გუფელდს ზედმეტი პაიკი აღმოაჩნდა. თითქოს ამ უპირატესობის განაღდება მას არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ საქმეში ჩაერია ცაიტნოტი: გუფელდმა უპირატესობა გაფლანგა.

გუშინ რიგელებმა საჭადრაკო დაფასთან კვლავ იხილეს თავიანთი თანამემამულე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, დიდოსტატი ტალი („დაუგავა“). ავადმყოფობის შემდეგ იგი შეხვდა დიდოსტატ კერესს („კალევი“), რომელმაც წინადღით გამოცდილი სატურნირო მებრძოლი, საერთაშორისო ოსტატი მიკენასი („ჟალგირისი“) დაამარცხა.

პირველად ტალი კერესს 1953 წელს შეხვდა ტალინში ლატვია — ესტონეთის მატჩში. მიხეილს მაშინ თითქმის არავინ იცნობდა — იგი ოსტატობის კანდიდატი იყო, სტუდენტი, მისი მეტოქე კი უკვე სახელმოხვეჭილი დიდოსტატი გახლდათ. მას შემდეგ ეს ორი მოჭადრაკე ბევრჯერ შეხვედრია ერთმანეთს და მათი პარტიები მუდამ საინტერესოდ და მწვავედ მიმდინარეობდა. ამჯერად პარტია მშვიდად წარიმართა და მალე ნიმცოვიჩის დაცვის ერთ-ერთ ვარიანტს მიადგა. ერთი შეხედვით, თეთრებს (ტალი) უფრო პერსპექტიული პოზიცია ჰქონდათ, მაგრამ კერესმა ზუსტი დაცვით შანსები გაათანაბრა და მე-16 სვლაზე ტალის წინადადებით მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

აი, დანარჩენი შეხვედრების შედეგები: „დაუგავა“ — „კალევი“ 3:2, „ჟალგირისი“ — „სპარტაკი“ 2:2, „ტრუდი“ — „მოლდოვა“ 3:0, „ავანგარდი“ — „იიუდი“ 2,5:1,5.

რიგა, 20 დეკემბერი (საკდესი). ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობის VII ტურის გადადებული პარტიების დამთავრებისას ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია დიდოსტატ გუფელდის შეხვედრამ ოსტატ მურეისთან. მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. როცა ყველა გადადებული პარტია დამთავრდა, აღმოჩნდა, რომ VII ტური ყველაზე შედეგიანი იყო. აი, სარეკორდო შედეგებიც: „ტრუდი“ — „მოლდოვა“ 8,5:0,5, „ბურევესტნიკი“ — „დინამო“ 8,5:1,5.

VIII ტურის წინ კვლავ „ბურევესტნიკი“ ლიდერობდა — 48 ქულა. არმიელ მოჭადრაკეებს 46,5 ქულა ჰქონდათ, „ავანგარდს“ — 41,5. „ბურევესტნიკს“ ოქროს მედლებს თითქოს ვეღარავინ შეეცილებოდა. მაგრამ მოხდა მოულოდნელი: ლიდერი მარცხდება „ავანგარდთან“. ჯერჯერობით უკრაინელები იგებენ ანგარიშით 2:1.

მეორე მოულოდნელობა გახლდათ მსოფლიო ჩემპიონის ნ. გაფრინდაშვილის („ბურევესტნიკი“) დამარცხება ო. ანდრეევასთან. სიცილიურ დაცვაში ანდრეევამ ძალიან გაბედულად შესწირა ფიგურა. ზუსტი დაცვით შეიძლებოდა იერიშის მოგერიება, მაგრამ ანდრეევას მხარეზე ორი უპირატესობა იყო. პირველი: მან იცოდა, რომ ჭადრაკის დედოფალს არ უყვარს, როცა უტევენ. გაფრინდაშვილი თავის სტიქიაშია, როცა საჭიროა ზუსტი გაანგარიშება, როცა დაფაზე ყველაფერი რთული და გაუგებარია. ამ დროს იგი ზუსტად და უშეცდომოდ თამაშობს. მისი სტილი გვაგონებს მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მ. ტალის თამაშის მანერას. მაგრამ აქ ყველაფერი სხვაგვარად იყო. მეორე: გაფრინდაშვილი სასტიკ ცაიტნოტში აღმოჩნდა — 9 სვლისთვის წუთნახევარი დარჩა. ცაიტნოტში ნონა შეცდა და 35-ე სვლაზე საათი გააჩერა. „ბურევესტნიკმა“ მნიშვნელოვანი ქულა დაკარგა. მეორე ქულა ავანგარდელებს შესძინა საერთაშორისო ოსტატმა ბაგიროვმა, რომელიც ახალგაზრდა კუზმინთან დამარცხდა.

მართალია, ჯერ დაუმთავრებელია ორი დიდოსტატის — ქვეყნის ამჟამინდელი ჩემპიონის პოლუგაევსკისა („ბურევესტნიკი“) და ამ ტიტულის სამგზის მფლობელის შტეინის პარტია. იგი რთულ პოზიციაში გადაიდო. პოლუგაევსკიმ კიდეც რომ მოიგოს, „ბურევესტნიკი“ ვეღარ დაეწევა შეიარაღებულ ძალთა გუნდს, რომელმაც დინამოელებს მოუგო — 4,5:2,5.

8 ტურის შემდეგ ლიდერები არიან არმიელი მოჭადრაკეები — 51 ქულა. „ბურევესტნიკს“ 49 ქულა აქვს.

სხვა შეხვედრების შედეგები ასეთია: „კალევი“ — „ლოკომოტივი“ — 2:3, „სპარტაკი“ — „დაუგავა“ — 4:2, „ტრუდი“ — „ჟალგირისი“ — 3:1, „მოლდოვა“ — „იიუდი“ — 2,5:0,5.

# ეს დიდი საქმეა!

ჩვენ არა ვართ ფეხბურთის დარგში მომუშავენი და, ცხადია, პრეტენზიებიც ნაკლები გვაქვს, მაგრამ სპორტის ამ სახეობის დიდი სიყვარული და მაყურებლის სოლიდური სტაჟი უფლებას გვაძლევს მივუსხდეთ „ფეხბურთის მრგვალ მაგიდას“ და ჩვენი მოსაზრებებიც გამოვთქვათ.

გვსურს შევეხოთ ქართულ ფეხბურთს, ვილაპარაკოთ მის წარმატებებსა თუ წარუმატებლობათა შესახებ.

თუ თვალს გადავავლებთ საკავშირო ჩემპიონატების ისტორიას 1936 წლიდან, ინჟინრის ენით რომ ვთქვათ, საერთო მაჩვენებლების არც ისე ცუდი მრუდი გვაქვს. იგი ნათლად გვაჩვენებს, რომ ბევრჯერ სულ ახლოს ვყოფილვართ უმაღლეს მწვერვალთან, ე. ი. შეგვეძლო ჩემპიონები გავმხდარიყავით და სულ ცოტა დაგვკლებია ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად. მხოლოდ ერთხელ, 1964 წელს შევძელით ოქროს მედლების მოპოვება.

რა არის ამის მიზეზი? ბევრჯერ წაგვიკითხავს. ბევრჯერ მოგვისმენია, რომ ჩვენს ფეხბურთელებს აკლიათ ნებისყოფის სიმტკიცე. ზოგიერთ სპეციალისტს ისიც უთქვამს, ეს სამხრეთელთა თანდაყოლილი ნაკლია, რაც ასეთ უარყოფით დაღს ამჩნევს ქართველ ფეხბურთელთა დიდ ნიჭსა და ოსტატობას.

ამ აზრს ვერ გაიზიარებს ის, ვინც კარგად იცნობს საქართველოს ისტორიას. ნუთუ დავკარგეთ ეს ძვირფასი თვისებები? არა გვგონია. უბრალოდ, ყველაფერი სუსტი პედაგოგიური და სპორტული აღზრდის ბრალია. თუ გავაუმჯობესებთ პედაგოგიური და სპორტული წრთობის მეთოდებს (მხედველობაში გვაქვს ფსიქოლოგიური ფაქტორიც), ფეხბურთელებში გავაღვივებთ პატრიოტიზმის გრძნობას და მეტ პატივისცემას ხალხის მიმართ, დიდებითად გადაწყდება ნებისყოფის სიმტკიცის საკითხიც.

საქართველოში ბავშვებს თავდავიწყებით უყვართ ფეხბურთი, გატაცებით თამაშობენ ბურთს და, ცხადია, ტალანტებიც საკმარისადაა გვყავს, მაგრამ ჩვენს პირველ გუნდს — თბილისის „დინამოს“ არ მოსდის სისტემატური შევსება. ვფიქრობთ, ნიჭიერ ფეხბურთელ ბავშვთაგან ბევრი უკვალოდ იკარგება იმის გამო, რომ ისინი დროზე ვერ შეამჩნიეს, ვერ გამოძებნეს და არ დააწინაურეს.

ჩვენი ფეხბურთის ჩავარდნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიგვაჩნია ისიც, რომ არა გვყავს სრულფასოვან მწვრთნელთა საკუთარი კადრები, რომლებსაც სისხლხორცეულად აქვთ შეთვისებული ქართული ფეხბურთი, ზედმიწევნით ესმით მისი არსი. ზოგიერთი მოწვეული მწვრთნელი გატაცებული იყო დაცვითი ტაქტიკით და შაბლონური ნახაზებით, რაც ბორკავს ფეხბურთელის შემოქმედებით ნიჭს და იმპროვიზაციის უნარს. ჩვენი აზრით, თბილისის „დინამოს“ ე. წ. მესამე თაობის წარმომადგენელთა შორის, რომლებმაც ჩვენ ჩემპიონობა მოგვიტანეს, გამოიძებნებიან ისეთები, რომლებიც შეძლებენ სათავეში ჩაუდგნენ გუნდს, მაგრამ მათ ესაჭიროებათ ყოველმხრივი ხელშეწყობა და დახმარება, აგრეთვე, დრო დასახული მიზნების განსახორციელებლად. დროებითი წარუმატებლობა არ უნდა იქცეს იმის საბაბად, რომ თავიდან მოვიშოროთ ისინი.

ნუ ვუცდით ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას თუ როდის გააუმჯობესებს იგი მწვრთნელთა მომზადების საქმეს, როდის გადაჭრის ამ უპირველესი მნიშვნელობის პრობლემას. ჩვენ თვითონ, ჩვენი ინიციატივით და ძალებით უნდა მოვკიდოთ ხელი მწვრთნელთა აღზრდის საქმეს.

დასასრულ, იმედს გამოვთქვამთ, რომ „მრგვალ მაგიდასთან“ საუბარს მოისურვებენ ქართული ფეხბურთის ცნობილი წარმომადგენლები, სპეციალისტები, თვით ფეხბურთელები და ბევრ სასარგებლოსაც გვეტყვიან.

დ. ჩუბინიძე, კ. ჩხიკვიშვილი, ლ. ჯლამაძე,

ინჟინრები,

ა. ვერულეიშვილი,

მხატვარი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.




# თუ გაცილებაა გაცილება იყოს!

ფეხბურთის მოყვარულებს, ალბათ, კარგად ახსოვთ 1967 წლის 23 მაისი. ამ დღეს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი და მასთან ერთად თბილისის „დინამოს“ სტადიონზე თავმოყრილი მრავალრიცხოვანი მაყურებელი (კალენდარული მატჩი იყო კიევის „დინამოსთან“) მწვანე მინდვრიდან აცილებდა ჩვენს შესანიშნავ ფეხბურთელს ჯ. ბარქაიას, რომელმაც ესოდენ ბევრი გააკეთა ქართული ფეხბურთის პროგრესისთვის. მართალია, გული გწყდება, როცა ხედავ, როგორ ანებებს თამაშს თავს პირველხარისხოვანი ოსტატი, მაგრამ ეს ხომ სპორტის კანონია: ვეტერანმა ადგილი უნდა დაუთმოს ახალგაზრდებს. ამ უკანასკნელთათვის კი ასეთი საზეიმო გაცილება გარკვეულ სტიმულს წარმოადგენს.

სულ ახლახან ასევე გავაცილეთ მინდვრიდან ტაშკენტის მატჩის გმირი, ჩვენი საყვარელი ფეხბურთელი ი. დათუნაშვილი.

მაგრამ ტრადიცია ტრადიციაა. რატომ დაავიწყდათ ასეთივე საზეიმო რიტუალი შეესრულებინათ მაშინ, როცა თავიანთი სპორტული კარიერა დაასრულეს შ. იამანიძემ და ბ. სიჭინავამ? რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ გვეპარება ეჭვი, რომ ვინმემ სათუოდ დააყენა მათი დამსახურების საკითხი,ვინაიდან ყველამ კარგად იცის როგორც შ. იამანიძის, ისე ბ. სიჭინავას დიდი როლი თბილისის „დინამოს“ ისტორიაში. უბრალოდ, გამორჩათ.

ჩვენ ასე ვფიქრობთ: ტრადიცია არ უნდა შეიბღალოს. როცა მინდორს ტოვებს გამორჩენილი ფეხბურთელი, მას აუცილებლად უნდა მოუწყონ საზეიმო გამომშვიდობება. „გულმავიწყობა“ აქ დაუშვებელია.

თუ გაცილებაა გაცილება იყოს!

ს. ოხანაშვილი, ვ. კობერიძე, ნ. ზზიაძე, მ. გოგლიძე,

ფეხბურთის მოყვარულნი.

# ლაპარაკი ლაპარაკად რჩება...

მახსოვს, დონეცკის „შახტიორის“ მწვრთნელმა ო. ოშენკოვმა „ფუტბოლ-ჰოკეის“ ფურცლებზე რუსული ხალხური ანდაზა მოიყვანა: „გლეხი მანამ არ გადაიწერს პირჯვარს, სანამ ცა არ დაიგრუხუნებსო“.

ეს ნიშნავს, რომ ამინდი ფუჭდება და რახან საკავშირო პრესაში ასეთი დისპუტი ატყდა განვლილ საფეხბურთო სეზონზე და მის შედეგებზე, ცხადია, ამინდი „გაფუჭებას“ აპირებს, ან უკვე „გაფუჭდა“.

გაიხსენეთ ჩვენი ნაკრების აშკარა ჩავარდნა ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირში, არასახარბიელო შედეგი ევროპის ჩემპიონატში, კიევის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ წარუმატებლობანი ევროპულ საკლუბო გათამაშებებში და ნათელი გახდება, რომ საბჭოთა ფეხბურთელების მაჩვენებლები საგრძნობლად ჩამორჩება საღღეისო მოთხოვნებს.

რამდენჯერ დაიწერა, რამდენჯერ ითქვა, რომ კლუბებიდან ფეხბურთელთა დიდი ხნით მოწყვეტა და არაფრისმთქმელი, მეორეხარისხოვანი სპარინგ-მატჩები უცხოეთის გუნდებთან მხოლოდ საზიანოა ჩვენი ნაკრებისთვის, მაგრამ ლაპარაკიც ლაპარაკად რჩება, დაწერილიც — ნაწერად, ეს მავნე პრაქტიკა კი ჯერ კიდევ ფეხმოდგმულია ჩვენში.

საკავშირო ჩემპიონატი იმ ღერძს წარმოადგენს, რომლის გარშემოც ბრუნავს ჩვენი საფეხბურთო ცხოვრება, ამიტომ ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რათა კალენდარიც, გუნდების რაოდენობაც, მსაჯთა შერჩევაც მას ემსახურებოდეს. სავსებით ვეთანხმები გ. სიხარულიძეს, რომ უმაღლეს ლიგაში უნდა თამაშობდეს ნამდვილად უძლიერესი 15 გუნდი. ეს საშუალებას შექმნის რაციონალურად დაიგეგმოს კალენდარი და ჩვენმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღონ სერიოზული მნიშვნელობის საერთაშორისო ტურნირებში.

გამოვთქვამ აზრს იმ საკითხზე, თუ როგორ უნდა დაკომპლექტდეს „ა“ კლასის II ჯგუფი. საჭიროა ჩატარდეს ამიერკავკასიის, შუა აზიის, რსფსრ-ს, უკრაინის, ბელორუსიის პირველობები (20-20 გუნდი), შემდეგ ზონებში საუკეთესო ადგილებზე გასულმა კოლექტივებმა შექმნან ფინალური ჯგუფი 20 გუნდის შემადგენლობით, სადაც გათამაშდება საერთო პირველობა (ქვეჯგუფებში ნათამაშევი შედეგები ავტომატურად გადავა ფინალში).

ასაკობრივი ლიმიტი „ბ“ კლასში აუცილებლად საჭიროა. ფეხბურთელის გაფურჩქვნის პერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ 22-25 წლები და თუ იგი 26 წლის ასაკისთვის არ დაწინაურდა „ა“ კლასის რომელიმე ლიგაში, მაშინ იგი იმ „სასტარტო“ ორ კლასში უნდა მოხვდეს, რომლებსაც უფლება აქვთ ახალგაზრდებთან ერთად ითამაშონ.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ დისციპლინის დამრღვევებს. მსაჯი რომ მინდვრიდან გააძევებს უხეშ ფეხბურთელს, ეს ცოტაა. არის ბევრი სხვა საშუალება (კოლექტივში მიღებული ღონისძიებანი, ფედერაციათა ქმედითი ზომები და სხვ.), რომლებიც უბოდიშოდ უნდა იქნას გამოყენებული მათ მიმართ, ვინც არცხვენს საბჭოთა სპორტსმენის მაღალ წოდებას.

ო. გეგეშიძე,

სამტრედიის ბავშვთა სპორტსკოლის ფეხბურთელთა უფროსი მწვრთნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ვაქვეყნებთ კონკურსის იმ მონაწილეთა გვარებს, რომელთაც „სპორტული უნივერსიტეტის“ X სერიაში დააგროვეს:

**10 ქულა:** გ. ბასილაშვილი, გ. კაკაურიძე, თ. ლებანიძე (ყველა — თბილისი), გ. ახრახაძე, შ. ბიბილეიშვილი (ორივე — წყალტუბო).

**9 ქულა:** გ. ახალაძე, ა. ბესიაშვილი, ნ. ელერდაშვილი, მ. ზაქარაია, გ. კვაჭაძე, გ. ლორთქიფანიძე, მ. მამისთვალოვი, ჯ. მჭედლიშვილი, ი. პაროშინი, თ. სიხარულიძე, ა. ტაკიძე, თ. ღვინეფაძე, გ. ჩეკურიშვილი, ჯ. ხუციბერიძე, გ. ხარაზიშვილი, გ. ხახიაური, ფ. ჯანყარაშვილი (ყველა — თბილისი), გ. აბურჯანია, ბ. ბასილაია (ორივე — ფოთი), თ. ალფაიძე, ი. ბუზიაშვილი, რ. ხეფიაშვილი, დ. ფაჩუაშვილი, დ. ჩიკვაშვილი, ე. ხიშტოვანი, მ. ჯავახაძე, დ. ჯანაშვილი (ყველა — ქუთაისი), ჯ. ვაშაკიძე, გ. მელქაძე (ორივე — სამტრედია), ე. ჯიჯიაშვილი (გარდაბნის რ., სოფ. შინდისი).

**8 ქულა:** კ. ოდიკაძე, ბ. ტაბიძე, ზ. ქუთათელაძე, ჯ. ძაგანია, გ. ჯაფარიძე (ყველა — თბილისი), ნ. ტოროტაძე (სიმფეროპოლი).

## კონკურსის მონაწილეთა საყურადღებოდ!

პასუხების გამოქვეყნების დროს დაშვებულ იქნა რამდენიმე უზუსტობა. გთავაზობთ გასწორებებს:

1. ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატში პირველად მონაწილე საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოტოვებულია თავდამსხმელი ა. ილინის გვარი (I სერიის მე-5 კითხვის პასუხი);
2. ფრანსინა ბლანკერს-კოენის მიერ 100 მეტრზე ნაჩვენები შედეგია 11,9 წამი (II სერიის მე-10 კითხვის პასუხი);
3. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის პირველ და მეორე ნაკრები გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვა პირველმა ნაკრებმა — 7:1 (IX სერიის პირველი კითხვის პასუხი);
4. საბჭოთა კავშირის თასი კალათბურთში ვაჟთა შორის გათამაშდა მომდევნო ორ წელსაც: 1952 წელს თასს დაეუფლა რიგის „დინამო“ (ფინალში დაამარცხა მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდი — 53:44), ხოლო 1953 წელს — კაუნასის „ჟალგირისი“, რომელმაც ფინალში დაამარცხა თბილისის „დინამო“ — 55:41 (I სერიის მე-7 კითხვის პასუხი);
5. თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სტალინეცის“ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1 (IX სერიის პირველი კითხვის პასუხი).
6. წყალში ყვინთვის მსოფლიო რეკორდი უდრის 73 მეტრსა და 15 სანტიმეტრს (X სერიის მე-7 კითხვა).

## უჩვეულო შეჯიბრება

ზამთრის კურორტ ასპენში (აშშ) უჩვეულო მატჩი გაიმართა — მოეწყო აშშ-სა და საფრანგეთის სამთომოთხილამურეთა საერთაშორისო შეხვედრა გიგანტურ სლალომში. შეჯიბრება იყო როგორც გუნდური, ისე პირადი. მეტოქეებს (5-5 სპორტსმენი) სამ-სამი ცდის უფლება ჰქონდათ.

ქალებში ფრანგებმა იმარჯვეს: ფამოზმა (საფრანგეთი) დაამარცხა სკინჯიერი — 2:0, ლაფორგმა (საფრანგეთი) — ნაგელი — 2:1, კეტერსმა (აშშ) — სტიორერი — 2:0, კოკრენმა (აშშ) — მირი — 2:1, ჟაკომ (საფრანგეთი) — მაკოი 2:0.

სამაგიეროდ, მასპინძლებმა ვაჟთა შეჯიბრებაში აიღეს რევანში: ელიტმა (აშშ) სძლია პენცს — 2:0, კაშივამ (აშშ) — რუსელს — 2:1, კალმა (აშშ) — ოჟეს — 2:1, ხოლო შაფიმ — საფრანგეთის გუნდის ლიდერს პერიას — 2:1. საფრანგეთის ვაჟთა გუნდიდან არ წაუგია მხოლოდ დიუ ვილარს, რომელმაც საბიჩი დაამარცხა — 2:1.

მატჩის შემდეგ ორივე გუნდის სპორტსმენებმა განაცხადეს, რომ ამგვარი შეჯიბრება უფრო პასუხსაგებია და, მაშასადამე, უფრო საინტერესოც.

## პირველი ევროპული...

სპორტულ კალენდარს შეემატა ახალი შეჯიბრება — მოყვარულ ჩოგბურთელთა ევროპული ჩემპიონატი.

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ევროპულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ეს ასპარეზობა ჩაატაროს 1969 წელს. კომიტეტის გადაწყვეტილება მომავალ წელს ივლისში უნდა დაამტკიცოს ფედერაციის აღმასკომის სხდომამ, მაგრამ ეს ალბათ მხოლოდ ფორმალური მხარეა. ახალმა ტურნირმა უკვე ჰპოვა სპორტული წრეების მხარდაჭერა.

პირველი ჩემპიონატის ორგანიზაცია იტალიის ჩოგბურთის ფედერაციამ ითავა. მან წინადადება შეიტანა, რომ შეჯიბრება 15-21 სექტემბერს ჩატარდეს. 1970 წელს ევროპის საუკეთესო ჩოგბურთელების მისაღებად ბულგარეთი ემზადება.

უკვე დაზუსტდა შეჯიბრების დებულების დეტალები. ყოველ ქვეყანას შეუძლია გამოიყვანოს 4-4 ქალი და ვაჟი. მაგრამ თუ მონაწილეთა საერთო რიცხვი 64-ზე მეტი აღმოჩნდება, ეს ლიმიტი 6 სპორტსმენამდე შემცირდება.

წყვილთა შეჯიბრებაში საჩოგბურთო დუეტი შეიძლება სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისგან შედგეს. ტურნირში გათამაშდება რვა ადგილი, პირველი სამი პრიზიორი კი მიიღებს (შესაბამისად) ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს.

მაშ ასე, თავისი გადაწყვეტილებით ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ევროპულმა კომიტეტმა გამოასწორა უსამართლობა, რომლის ძალითაც ჩოგბურთს, სპორტის ამ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობას არც ერთი ოფიციალური ჩემპიონატი არ ჰქონდა.

რატომ იყო ასე? ჩოგბურთი ერთ დროს არისტოკრატული კლუბების პრივილეგიას წარმოადგენდა. ამიტომ შეიქმნა თავისებური, უსწორო ტრადიციები. ინგლისის ჩემპიონატი — განთქმული უიმბლდონის ტურნირი დღემდე ითვლება მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობად ბალახის მოედნებზე, საფრანგეთის ჩემპიონატი კი მსოფლიოს პირველობად მაგარ კორტებზე. დევისის თასის გათამაშებას მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ პირველობას უდარებენ.

მაგრამ აი, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა ჩაეტარებინა ეგრეთწოდებული „ოპენ-ტურნირები“, სადაც მოყვარულები პროფესიონალებთან ერთად გამოდიან (ამ უკანასკნელთ პრიზები იზიდავთ). მოყვარულებს არ დარჩათ არც ერთი საკუთარი დიდი შეჯიბრება, სადაც ფული და ანგარება არ თამაშობდეს როლს.

„ევროპის ჩემპიონატის ორგანიზაცია სამოყვარულო სპორტის წარმატებად მიგვაჩნია, — განაცხადა იტალიის ჩოგბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ლ. ორსინიმ. „ოპენ-ტურნირები“ ძალიან ძვირი ჯდება და ჩოგბურთის პოპულარიზაციას ვერ უწყობს ხელს. თუ სამოყვარულო ჩოგბურთის პროგრესი გვსურს, მას თავისი საერთაშორისო კალენდარი უნდა მივცეთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში დაუბრუნდება ჩოგბურთი ოლიმპიადის პროგრამას“.

„ამ შეჯიბრებას დიდი სპორტული მნიშვნელობაც ექნება, — ამბობს სსრ კავშირის გუნდის უფროსი მწვრთნელი ს. ანდრეევი. განვლილ სეზონში ბევრი მოყვარული წარმატებით გამოდიოდა ღია ტურნირებში პროფესიონალებთან ერთად. გავიხსენოთ თუნდაც ა. მეტრეველისა და ო. მოროზოვას წარმატება, რომლებიც უიმბლდონის ტურნირის ფინალში გავიდნენ. მომავალი ასპარეზობის ფავორიტთა რიცხვში მე დავასახელებდი იმავე მეტრეველს და გ. ბაკშეევას“.

დაველოდოთ ჯერ საერთაშორისო ფედერაციის საბოლოო სიტყვას, მერე კი თვით ჩემპიონატს.

ი. ხრომოვი.
(საკდესის კორ.).

**• KORANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •**

### ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

დამთავრდა უნგრეთის ჩემპიონატი. ბოლო ტურში ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა“ ანგარიშით 3:2 დაამარცხა „დიერი“ და 49 ქულით გაინადა I ადგილი. გაიმარჯვა ჩემპიონის მთავარმა კონკურენტმა „დოჟ:მაც“ (უიპეშტი), მაგრამ 1 ქულით მაინც ჩამორჩა „ფერენცვაროშს“. III ადგილზე გასულ „ვაშაშს“ მხოლოდ 42 ქულა აქვს.

საფრანგეთის პირველობის გათამაშების ცხრილს სათავეში უდგანან „სენტ-ეტიენი“ და „ბორდო“. სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს განვლილ ტურში და გამარჯვება წილად ხვდა „სენტ-ეტიენს“ (3:2), რომელიც ახლა 27 ქულით I ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ადგილზე იმყოფება „მონაკო“ — ერთ დროს საფრანგეთის ჩემპიონი.

### „შემოდგომის წრის“ შემდეგ

ბულგარეთის ჩემპიონატის პირველი, ე. წ. „შემოდგომის წრის“ შემდეგ ჟურნალისტები ჩვეულებრივ ასახელებენ ხოლმე № 1 ფეხბურთელს. ასეთად ახლა მიჩნეული იქნა „ჩერვონო ზნამეს“ თავდამსხმელი, ნაკრების წევრი პ. ჟეკოვი. მან 15 მატჩში 22 გოლი გაიტანა.

### სივორი აღარ ითამაშებს

ჩვენ უკვე ვწერდით „ნაპოლის“ ხელმძღვანელობისა და ო. სივორის უთანხმოების თაობაზე. ამ დღეებში ამას ახალი სკანდალი დაემატა. იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში სივორი უხეშობისთვის სასტიკად დაისაჯა, — დისკვალიფიცირებულ იქნა 6 თამაშით. სივორიმ გადაწყვიტა საერთოდ დაანებოს თავი ფეხბურთს და მიატოვა „ნაპოლი“. იგი არგენტინაში დაბრუნებას აპირებს.

### დოჰერტი მოგზაურობს

39 წლის დოჰერტი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ინგლისში. როგორც მწვრთნელი, იგი ადრე სათავეში ედგა შოტლანდიის ნაკრებს, შემდეგ წარმატებით წვრთნიდა „ჩელსის“, უკანასკნელ ხანს კი I ლიგის დებიუტანტ „კუინ-პარკს“ ხელმძღვანელობდა. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ვერც ერთ ამ კლუბში დოჰერტი, რომელიც შეურიგებელი ხასიათით გამოირჩევა, ვერ ითმენდა თავის საქმეებში რაიმე ჩარევას.

აი, დოჰერტის ახალი კონფლიქტის მიზეზიც: „კუინ-პარკმა“ მის დაუკითხავად გაჰყიდა წამყვანი თავდამსხმელი ალენი. მაშინ მწვრთნელმა განაცხადა, რომ არღვევს კონტრაქტს კლუბთან და „ატლეტიკოში“ (ბილბაო) გადადის.

## ისევ ბიმონი!

ცნობილმა სააგენტომ „ინტერნაციონალე შპორტკორესპონდენტმა“ შეაჯამა თავისი წლევანდელი საერთაშორისო ანკეტა და გამოაქვეყნა შედეგები, რომელთა მიხედვითაც წლეულს მსოფლიოში საუკეთესო სპორტსმენად XIX ოლიმპიადის ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი, ამერიკელი ზანგი ბ. ბიმონი აღიარეს. ბიმონს 268 ქულა დაუგროვდა. II ადგილზე გავიდა 4 ოლიმპიადის ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში ა. ორტერი (აშშ) — 117 ქულა.

III ადგილზეა ცნობილი ფრანგი სამთომოთხილამურე ჟან-კლოდ კილი — 113.

შემდეგ მოდიან: ინგლისელი მძლეოსანი დ. ჰემერი — 107, ავსტრალიელი მოცურავე მ. უენდენი — 90, კენიელი მძლეოსანი კ. კეინო — 74, ამერიკელი მძლეოსნები: ჯ. ჰაინსი — 71, ლ. ევანსი — 63, დ. ფოსბიური — 57 და თ. სმითი — 56. მეთერთმეტეა მოცურავე რ. მათესი (გდრ) — 47. XII-XIII ადგილებს იყოფენ ვ. სანეევი და ლ. ჟაბოტინსკი — 33 ქულა თვითეულს.





## სიკვდილმა დაიხნდო

როცა ტურისტები მონტე-კარლოს ნავსადგურის სანაპიროზე გაივლიან, გიდი უთუოდ უამბობს მათ „საშინელებათა ვირაჟზე“.

მრბოლელები ამ ადგილას მანქანებს აჩერებენ, ჩაფხუტებს მოიხდიან, ზოგიერთები კი პირჯვარსაც გადაიწერენ ხოლმე.

„საშინელებათა ვირაჟი“, — ასე ეძახიან ამ ადგილს ქალაქის მცხოვრებლები. სწორედ აქ გადის იმ ტრასის ერთ-ერთი მონაკვეთი, რომელზეც ყოველწლიურად ტარდება პროფესიონალთა ტრადიციული რბოლა „მონტე-კარლოს პრიზზე“ და სხვა დიდი საერთაშორისო შეჯიბრებები. სწორედ ამ ადგილას მრბოლელები ქარიშხლისებური სისწრაფით უხვევენ და ყველას როდი შეუძლია თავი დაუჭიროს გავეშებულ მანქანას.

ეს ვერც ცნობილმა იტალიელმა პროფესიონალმა მრბოლელმა ლორენცო ბანდინიმ მოახერხა. შარშანდელ რბოლაში მისი მანქანა უეცრად ღერძის ირგვლივ დატრიალდა, გადაბრუნდა და ცეცხლი გაუჩნდა. სანიტრებმა მანქანიდან მხოლოდ სპორტსმენის ნახევრად დამწვარი გვამი გადმოიღეს. მაშინ საავტომობილო სპორტის მოყვარულებმა ტრასის შეცვლა მოითხოვეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

ჟურნალ „კვიკიდან“ (დასავლეთ გერმანია) გადმობეჭდილ სურათებზე თქვენ ხედავთ ბანდინის თანამემამულის, იტალიელ კ. რეგაცონის მანქანის ნამსხვრევებს. მრბოლელს „სიკვდილის ვირაჟზე“ საჭე გაექცა და მანქანა ლითონის პარაპეტს მიაწყდა. რეგაცონი მანქანიდან შორს გადავარდა და ამან გადაარჩინა.

მარცხენა სურათზე: სანიტარს მრბოლელი სანიტარული მანქანისკენ მიჰყავს. „იქნებ ჩემი კატასტროფის ბედნიერი დასასრული კარგი გაფრთხილება იქნეს რბოლის ორგანიზატორებისთვის“, — თქვა ტრაგედიის შემდეგ დაზარალებულმა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. შ 8 ( ) უე 12092